

შპს „ერისონი“ (ს/ნ 418475439)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი აქტივები	175368	215248	136404
ფული სალაროში	6622	89359	19437
ფული ბანკში	88622	57475	46695
დებიტორული დავალიანება	23765	10419	7321
ნედლეული და მასალები	56359	57995	62951
გრძელვადიანი აქტივები	2693234	2857509	2970432
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.1)	2693234	2857509	2970432
სულ აქტივები	2868602	3072757	3106836
მოკლევადიანი ვალდებულებები	67695	46979	46082
სავაჭრო ვალდებულებები	31890	24812	19354
საგადასახადო ვალდებულებები	35160	21484	26157
საპენსიო ვალდებულებები	645	683	571
გრძელვადიანი ვალდებულებები	1913531	2132090	2259382
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1913531	2132090	2259382
სულ ვალდებულებები	1981226	2179069	2305464
კაპიტალი	887376	893688	800851
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	887376	893688	800851
სულ საკუთარი კაპიტალი	887376	893688	800851
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2868602	3072757	3106315

შპს ერისონის დირექტორი



იოსებ სეხნიაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2652620	2129653
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-1271571	-1054213
საერთო მოგება	1381049	1075440
დასაქმებულთა ანაზღაურება	-210703	-224662
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.1)	-194799	-184834
საპროცენტო ხარჯი	-171143	-127975
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-431190	-445132
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	29142	0
საოპერაციო მოგება	402356	92837
მოგების გადასახადის ხარჯი	-61300	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	341056	92837
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	341056	92837

შპს ერისონის დირექტორი



იოსებ სეხნიაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	0	800851	800851
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	92837	92837
გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	0	893688	893688
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	341056	
გადახდილი დივიდენდი	0	347368	
ნაშთი 2025 წლის 1 იანვარს	0	887376	893688

შპს ერისონის დირექტორი



იოსებ სეხნიაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3071733	2477045
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1822634	-1533868
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-165600	-176400
გადახდილი გადასახადები	-405144	-281122
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-3367	-1786
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	674988	483869
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-36018	-82670
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-36018	-82670
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	0	0
სესხის ძირის გადახდა	-188171	-189310
სესხის პროცენტის გადახდა	-171143	-127975
დივიდენდების გადახდა	-330000	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-689314	-317285
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-50344	83914
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-1246	-2691
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	146834	65611
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	95244	146834

შპს ერისონის დირექტორი



იოსებ სეხნიაშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „ერისონი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 16 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 418475439.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნე მომსახურება.

იურიდიული მისამართია გორი, სამეფოს ქ. N1, ბ.26, ხოლო ფაქტიური მისამართი - გორი, გორიჯვრის მიმდ. ტერიტორია.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ჯუმბერ ნაზარაშვილი (პ/ნ 59001085403) - 1/3 წილი
 - ვეფხვია თინიკაშვილი (პ/ნ 59001032906) - 2/3 წილი
- კომპანიის დირექტორია იოსებ სეხნიაშვილი (პ/ნ 59001013601)

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.



2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც



დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ- ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

მანქანა-დანადგარები

5 წელი

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი



ავეჯი და ინვენტარი

5 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები

5 წელი

შენობა-ნაგებობები

25 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწრა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა ჩარიცხავს გაუფასურების ზარალს,



რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2024 წელი - ხელფასი - 0 ლარი; დივიდენდი - 347368 ლარი.



3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა

2023 წლის საანგარიშო პერიოდი								
დასახელება	წლის დასაწყისში					წლის ბოლოს		
	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	მატება	ცვეთა	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	70000	0	70000	0	0	70000	0	70000
შენობები	2793464	156460	2637004	19763	112529	2813227	268989	2544238
მანქანა-დანადგარები	70093	17172	52922	8048	14149	78141	31321	46820
ოფისის აღჭურვილობა	0	0	0	2883		2883		2883
ავეჯი და სხვა ინვენტარი	169523	42522	127002	26890	34623	196413	77145	119269
სამშენებლო ინვენტარი	115273	31768	83505	14327	23532	129600	55300	74300
ჯამი	3218354	247922	2970432	71911	184834	3290265	432755	2857509

2024 წლის საანგარიშო პერიოდი								
დასახელება	წლის დასაწყისში					წლის ბოლოს		
	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	მატება	ცვეთა	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	70000		70000	0		70000		70000
შენობები	2813227	268989	2544238	0	112529	2813227	381519	2431708
მანქანა-დანადგარები	78141	31321	46820	7178	15554	85319	46875	38444
ოფისის აღჭურვილობა	2883	0	2883	0	577	2883	577	2306
ავეჯი და სხვა ინვენტარი	196413	77145	119268	3309	38215	199722	115360	84362
სამშენებლო ინვენტარი	129600	55300	74300	20037	27924	149637	83223	66414
ჯამი	3290264	432755	2857509	30524	194799	3320788	627554	2693234



3.2 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა

ხარჯის დასახელება	2024 წელი	2023 წელი
საიჯარო ხარჯი	770	0
საპენსიო ანარიცხები	3703	4162
საკონსულტაციო ხარჯები	16949	16271
ქონების და მიწის გადასახადი	27733	29119
ბანკის საკომისიო	44856	30823
რემონტის ხარჯი	3352	0
კომუნალური ხარჯები	149143	130828
ჰიგიენის ხარჯები	95368	67874
საკუროს სხვაობა	0	64708
სხვადასხვა ხარჯები	89316	101347
ჯამი	431190	445132

შპს ერისონის დირექტორი



იოსებ სეხნიაშვილი